საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2010 წლის 15 დეკემბრის
დადგენილება № 362

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელის
არჩევნების გამოცხადების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნები გამოცხადდეს 2010 წლის 17 დეკემბერს;
2. არჩევნები ჩატარდეს „სტუ-ს მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულების შესაბამისად;

3. განცხადება არჩევნებში მონაწილეობის შესახებ კანდიდატებმა უნდა შეიტანონ უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას უნდა დაერთოს: პირადობის მოწმობის ასლი, ცნობა დაკავებული თანამდებობის შესახებ, სამოქმედო გეგმა, ინფორმაცია განათლების, შრომითი გამოცდილების, აკადემიური ხარისხის თაობაზე;

4. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2010 წლის 28 დეკემბერს და გაგრძელდეს 2011 წლის 6 იანვრის ჩათვლით. არჩევნები აკადემიურ საბჭოში გაიმართოს 2011 წლის 17 იანვარს;

5. არჩეული კანდიდატურა წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარედგინოს არაუგვიანეს 2011 20 იანვრისა;

6. წარმომადგენლობით საბჭოში არჩევნები ჩატარდეს არაუგვიანეს 2011 წლის 25 იანვრისა;

7. .განცხადება არჩევნების შესახებ გამოქვეყნდეს გაზეთ „24 საათში“ და განთავსდეს სტუ-ს ვებგვერდზე;

8. არჩევნების შედეგები გამოქვეყნდეს კანდიდატურის წარმომადგენლობით საბჭოში დამტკიცებისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**